

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს სურვეიერული მომსახურების გაწევაზე ნავთობპროდუქტების გადატვირთვის ტერმინალებში ნავთობპროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის შემოწმების მიზნით

ტენდერის პირობები

1. ზოგადი მიმოხილვა

ექსპერტიზის ჩატარების ადგილი :

- საზღვაო მარშუტით ტრანსპორტირებისას - ბათუმის პორტი;
- სარკინიგზო მარშუტით ტრანსპორტირებისას - ნავთობბაზა სოფ. ძეგვში, ნავთობბაზა ქ.ქუთაისში, ბათუმის ნავთობტერმინალი.

შესასრულებელი სამუშაო: ტანკერიდან გადმოტვირთვისას პორტში, სარკინიგზო ტრანსპორტით გაგზავნისას და ნავთობბაზებზე არსებული შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს კუთვნილი ტვირთების ინსპექტირება ხარისხსა და რაოდენობაზე (Q&Q ანალიზი);

შესამოწმებელი ნავთობპროდუქტების სავარაუდო წლიური რაოდენობა: დაახლოებით 150 ათასი ტონა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 2 წელი

შენიშვნა: პრეტენდენტს სატენდერო წინადადების წარდგენამდე შეუძლია ობიექტების დათვალიერება. სამუშაოს წარმოებისას პრეტენდენტის მხრიდან დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმა, რაც ცალსახად წარმოადგენს პრეტენდენტის ვალდებულებას და პასუხისმგებლობას.

2. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.1. ინფორმაცია კომპანიის (პრეტენდენტის) შესახებ:

- აუცილებელი პირობა - პრეტენდენტი უნდა იყოს რეზიდენტი კომპანია.
- კომპანიის სრული დასახელება
- იურიდიული მისამართი
- ფაქტობრივი მისამართი
- ტელ., ფაქსი, ელ-ფოსტა
- საკონტაქტო პირი
- საბანკო რეკვიზიტები
- მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელი პირების შესახებ

2.2. ტენდერში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

- ამონაწერი კომერციული (სამეწარმეო) რეესტრიდან პრეტენდენტის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა გადახდისუნარიანობის შესახებ;
- შესაბამისი ორგანოების ცნობა ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის არარსებობის თაობაზე;
- ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ ;
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ.
- პრეტენდენტის ინსტრუქცია - ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი

კომერციული წინადადება უნდა შეიცავდეს:

1. ნავთობგადამზიდ ტანკერში ნავთობპროდუქტის რაოდენობრივი ინსპექტირების ღირებულებას;
2. 1 მიწისზედა ავზში ნავთობპროდუქტის რაოდენობრივი ინსპექტირების ღირებულებას;
3. 1 მეტრული ტონა ნავთობპროდუქტის რაოდენობრივი ინსპექტირების ღირებულებას სარკინიგზო გზით ტრანსპორტირებისას;
4. დასახლებული პუნქტის გარეთ მგზავრობის ღირებულებას (მეგვი, ქუთაისი, ნებისმიერი ნავთობბაზა), მიუთითებს ღირებულება კილომეტრზე;
5. თითოეული ანალიზის ღირებულებას ცალ-ცალკე, ძირითადი ანალიზები
 - დიზელისთვის: სიმკვრივე, ცეტანის რიცხვი, შემცველობა გოგირდი, პოლიციკლური არომატიკების;
 - ბენზინისთვის: სიმკვრივე, ოქტანის რიცხვი, შემცველობა გოგირდის, ტყვიის, არომატიკების, ბენზოლის.

ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს აშშ დოლებში დღგ-ს გარეშე.

სატენდერო წინადადების ტექნიკური ნაწილი უნდა შეიცავდეს შესასრულებელი სამუშაოების აღწერას, ქრონოლოგიას, რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზებს.

3. სატენდერო პროცედურები

- 3.1. ტენდერის ჩატარება ორ ეტაპად, ღია ვაჭრობით.
- 3.2. ტენდერის ჩატარების თარიღი - **2020 წლის 17 აგვისტო 15:00 სთ.**
- 3.3. ტენდერის ჩატარების ადგილი - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო. გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს ოფისი.
- 3.4. ტენდერში მონაწილეებმა სამუშაო დრეებში 11:00-დან 13:00 საათამდე 2020 წლის **10 აგვისტომდე** დალუქულ კონვერტებში უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება თანმხლებ წერილთან (დანართი 1) ერთად. პრეტენდენტის კონვერტები წარმოდგენილი უნდა იყოს „პრეტენდენტის ინსტრუქციის“ 12.3 მუხლის შესაბამისად. კონვერტებზე მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის დასახელება და მასში არსებული მასალის აღნიშვნა.
- 3.5. მონაწილეების მიერ კონვერტები წარმოდგენილი უნდა იქნეს 3.3. პუნქტში მითითებულ მისამართზე.
- 3.6. ტენდერში მონაწილეობას ღებულობს პრეტენდენტი ორგანიზაციიდან არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.
- 3.7. კომერციული წინადადებების კონვერტები გაიხსნება ტენდერზე რის შემდეგაც პრეტენდენტებს შორის გამართება ვაჭრობა.

4. განსაკუთრებული პირობები

- 4.1. ხელშეკრულება დაიდება იმ პრეტენდენტთან რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სატენდერო კომიტეტის ტექნიკურ მოთხოვნას.
- 4.2. ხელშეკრულება გამარჯვებულთან გაფორმდება ღია ვაჭრობის დასრულებიდან და სატენდერო კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

- 4.3. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები იქნება არასწორი ან არასრულყოფილი იგი არ დაიშვება ტედერზე.
- 4.4. წინადადებების განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია. პრეტენდენტის მიერ მითითებულ ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში იგი ჩაითვლება დისკვალიფიცირებულად.
- 4.5. პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების მომზადების პროცესში გაწეული ხარჯები კომპანიის მიერ არ ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა დაიდება თუ არა ხელშეკრულება.
- 4.6. კომპანია არ არის ვალდებული პრეტენდენტებს განუმარტოს თავისი გადაწყვეტილების საფუძველი ტენდერის ჩაშლასთან ან საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით.
- 4.7. კომპანია არ იღებს ვალდებულებას აუცილებლად დადოს ხელშეკრულება კონკურსში მონაწილე რომელიმე პრეტენდენტთან.

საკონტაქტო პირი:

ევგენი ლიმანოვი

მობ : 595 333 223 (ინგლისურ/რუსულ ენოვანი)